ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 7

ქ. ონი 24. 07. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ლევან ორდინიძე, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, თამაზ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ : ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი/

2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების შესახებ

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

4. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

5. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

6. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

9. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელის შემოღების შესახებ

კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის დავით აღმაშენებლის ქუჩა #10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე მდებარე 2 ოთახის (საერთო ფართით-53,08 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეუწონლად მიიჩნიეს სპორტკომპლექსის შენობაში სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ფართის გამოყოფა, აღნიშნული დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გასცემს რეკომენდაციას, აღნიშნული მიზნისთვის მოიძებნოს ალტერნატიული ფართი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მოისმინეს: 5. „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების

შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის #10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და რეკომენდაციას გასცემს, წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების გეგმიდან ამოღებული იქნეს ონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული კამაცუ D65EX15EO და პროექტი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად შემოტანილი იქნეს აღნიშნული ტექნიკის გარეშე.

მოისმინეს: 7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის ანგარიში.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

კომისია გასცემს რეკომენდაციას, ინფორმაცია შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 9. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მ/წ. 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისია გასცემს რეკომენდაციას, ინფორმაცია შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე